ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №847134

ნომერი: AR1152751

თარიღი : 07.08.2013

გაცემის თარიღი : 15.08.2013

გაცნობის თარიღი : 27.08.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გობრომიძის N13 შ.პ.ს. დილეოს და ავტო სადგომს შორის/ ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , შპს ,,ლეგია და კომპანია"-ს მიმდებარედ/ ქალაქი თბილისი , ქუჩა გობრონიძის , ნაკვეთი N03/036-ის მიმდებარედ (ნაკვ.03/042)/ ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , I და II მ/რ-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კარლო მშვიდობაძე პ/ნ 62001038592
- სოხუმი ძიძარიას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 2009 წლის 28 ივლისის #754 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

მოქალაქეებმა ალექსანდრე გოდაბრელიძემ და კახაბერ დვალიშვილმა 2013 წლის 22 აპრილს #AR1126546 განცხადებით მომართეს სამსახურს და მოითხოვეს სამსახურის 2009 წლის 28 ივლისის #754 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის და საკადასტრო კოდის შეცვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლიასაქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ –

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2009 წლის 28 ივლისს ქ. თბილისში, გლდანი–ნაძალადევის რაიონში, მუხიანის დასახლებაში, შპს "ლეგა და კომპანია"-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.11.17.003.007; ფართობი: 600.00 კვ.მ.) საზკვების ობიექტის განთავსების მიზნით დამტკიცებული იქნა #754 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.სამსახურის 2013 წლის 12 ივნისის №736411 ბრძანებით ცვლილება შევიდა ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში და მიწის ნაკევთის ფართობად დაფიქსირდა 1336.00 კვ.მ., ახალი საკადასტრო კოდი: ##01.11.17.003.162,. განმცხადებლების მიერ წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერისა (რეგისტრაციის #8882013278723, მომზადებისთარიღი: 21.06.13) და საკადასტრო გეგმის (რეგისტრაციის #882013278723, მომზადების თარიღი: 20.06.13) თანახმად ირკვევა, რომ შეცვლილია საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობი და დღეის მდგომარეობით შეადგენს 1203 კვ.მ.–ს ახალი საკადასტრო კოდი #01.11.17.003.172, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას სამსახურის 2009 წლის 28 ივლისის #754 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდიეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 28 ივლისის #754 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობად დაფიქსირდეს – 1203 კვ.მ. და საკადასტრო კოდად მიეთითოს #01.11.17.003.172;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 28 ივლისის #754 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს საჯარო რეესტრის ამონაწერი (რეგისტრაციის #8882013278723, მომზადებისთარიღი: 21.06.13) და საკადასტრო გეგმა (რეგისტრაციის #882013278723, მომზადების თარიღი: 20.06.13);
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს შევიდიეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 28 ივლისის #754 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.